სახალხო გაზეთი

№ 875 კვირა, 21 აპრილი 1913 წ. № 875

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ნესტორ ებრალიძე, ივლიტა ებრალიძისა, აკვირინა, ელენე, თებრონა და ნინო, ლუკა, არჩილ და დიმიტრი ებრალიძეები, ტასო რამიშვილისა, სიმონ, გაბრიელ, ვასილი, პანტელეიმონ და ხარიტონ რამიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას პირველი ძვირფასი მეუღლისას, მეორენი—ძმლისას, მესამე—შვილისას, მეოთხენი—დისას

მაგდანე | ლეონის | არსენის ასული ებრალიძისას.

დაკრძალვა მოხდება **დაბა ლანჩხუთში** სამშაბათს, 23 აპრილს, წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. 231.

მნაცაკან იეგორის ძე ფრიდონოვი ღრმა და გულითადის სიმწუხარით იუწყება ძვირფას ძმის

გრიგოლ იეგორის ძე ფრიდონოვის

უეცრივ გარდაცვალებას. განსვენებული გარდაიცვალა 20 აპრილს. პანაშვიდი 22 და 23 აპრილს, ორშაბათს და სამშაბათს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე, სერგიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 11. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 237

ქართული თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

კვირას, 21 აპრილს,

უკანასკნელი წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნება ძველი საბერძნეთის გამოჩენილი ტრაგიკოსის **სოფოკლეს** ორი ცნობილი ანტიური ტრაღედია ერთ საღამოს.

I **ედიპე მეფე** თარგ. კონ. ანდრონისა.

II **ანტიგონე** თარგმ. გ. გვაზავასი.

ედიპე მეფე—**ვ. გუნია.** ანტიგონე **ნ. დავითაშვილი.** ანტიგონეში **მეფე კრეონის** როლს შეასრულებს **ვ. გუნია.** რეჟისორი **კონ. ანდრონიკაშვილი.**

მონაწილეობს მსახიობთა ამხანაგობის მთელი დასი.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. 1094

ანონსი: ხუთშაბათს, 25 აპრილს წარმოდგენილი იქნება **ი. გედევანიშვილის** ცნობილი პიესა ,,**მსხვერპლი**''

ქართული თეატრი

სამშაბ., 23 აპრილს, დილით, ტფ. ქალთა უმაღლეს კურსებ. ლექტორი ბ-ნი **სარგის კაკაბაძე** წაიკითხავს საჯარო **ლექციას** ქართულად თემაზე:

,,შოთა რუსთველის ცხოვრების დრო''

(ორ ნაწილად!. ლექციის შემდეგ შესდგება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ (გვარები ანბანზე): ბ-ნნი. იუსტინე აბულაძე, სერგეი გორგაძე, დავით კარიჭაშვილი და მოსე ჯანაშვილი. თავმჯდომარედ იქნება ბ-ნი გრიგოლ რობაქიძე. შემოსავალი, გადადებულია ,,ვეფხის-ტყაოსნის'' ახალ ტექსტის გამოსაცემად.

დასაწყ. დილის 11 ს ბილეთები იყიდება. 218

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების

გამგეობა

აცხადებს, რომ კვირას, 5 მაისს, მოხდება **ილიას ძეგლის** კურთხევა, მთაწმინდის ეკლესიის გალავანში. 1164.

ახალი კლუბი

სამშაბათს, 23 აპრილს, 1913 წელს.

1-ლი საოჯახო საღამო ვლადიმერ გრიგოლის ძის რუტკოვსკისა.

ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის

ცნობილის მუსიკოსისა და კომპოზიტორის ბ-ნ

ნ. დ. ნიკოლაევის

მონაწილეობით და **ს. ი. პრესმანის** ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება ნ. დ. ნიკოლაევის ნაწარმოებნი. დაწვრილებით პროგრამებში. ადგილების ფასი 50 კაპ. 2 მ.-მდე, გალერეია ყველასთვის ხელმისაწდომია. სტუმართათვის კლუბში შესასვლელი ფასი დაკლებულია მამაკაცთათვის 50 კაპეიკამდე და მანდილოსანთათვის 25 კაპეიკამდე.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. 1162.

ხელის მოწერით გამოიცემა **ე. ზოლას**

,,ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში''

ი. ვ. ავალიშვილის ნათარგმნი.

დაკვეთა შეიძლება: ტფილისში—ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წიგნის მაღაზიაში და სინოდალ. კანტ. დავით ნახუცრიშვილთან, **თელავში** თელავის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **ქუთაისში**—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტორა ,,იმერეთში'', **ხონში**—ხონის ქ. შ. წ.-კ. განყოფილების წიგნის მაღაზიაში, **სამტრედიაში**—სამტრედ. ქ. შ. წ.-კ. განყ. წიგნ. მაღაზიაში და ნაცვალიძესთან, **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილის ასულთან, **სოხუმში**—ნ. ჯანაშიასთან, **ბაქოში**—მასწავლ. ბურჯანაძესთან, **ოზურგეთში**—მ. თალაკვაძეს და სტ. კალატოზიშვილის წიგნის მაღაზიაში, **შესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძის წიგნის მაღაზიაში, **ჩოხატაურში**—სილიბისტ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში, **ბათომში**—წიგნის მაღაზია ,,განთიადში'', **სიღნაღში**—ნიკო ახმეტელაშვილთან.

,,ქვა-ნახშირის მთხრელები მაღაროებში'' ,,მოამბის'' ზომისა (400 გვ.) იქნება და წინასწარის დაკვეთით ეღირება 60 კ. მხოლოდ გასაყიდი ფასი იქნება 1 მან. 1107

---

7 აპრილდან, გაიხსნა

სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზია, ფირმით

,,სოლოლაკი''

სოლოლაკის ქუჩაზე, ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ახალ სახლში.

ჩემი 25 წლის პრაქტიკა კავკასიის სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიის გამგეს თანამდებობაში, საქმის ცოდნა და აგრეთვე ახალ-ახალი საქონელი, რომელიც მაღაზიაში აწყვია ცნობილ ფირმების უმაღლესი ხარისხისა, ნებას მაძლევს იმედი ვიქონიო ტფილისის საზოგადოების ყურადღებისა, რომელიც სავსებით დარწმუნდება საქონლის კეთილსინიდისიერ გაყიდვაში.

1143 **არტემ ბაგდანოვიჩ ოვჩიევი.**

ქ. გორი

სამშაბათს, 23 აპრილს, გორის საკრებულოს დარბაზში გაიმართება

საინტერესო-ორგინალური სალიტერატურო-სამუსიკო

საღამო-მეჯლისი

სამს დიდ გა[ ]ყოფილებად

მონაწილეობას მიიღებენ:

პიტა აბაშიძე
დავ. კლდიაშვილი
ნ. გოცირიძე
კომპოზიტორი **ნ. სულხანიშვილი**
ი. შაშიანელი
თ. რაზიკაშვილი
ს. ფაშალიშვილი
გ. ახოსპირელი
გ. ქუჩიშვილი
და სხვანი ადგილების ფასი ჩვეულებრივია, დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე. გამგენი **ივ. დიმ. კვალიაშვილი. ს. გძელიშვილი.** ბილეთები ამთავითვე იყიდება, ქალაქის აფთიაქში ივ. კვალიაშვილთან, საურთიერთო ნდობის ბანკში ს. ჩუტკერაშვილთან, ილ. სესიაშვილის მაღაზიაში და სანდრო გძელიშვილთან. 1161

ფომინოვბის კვირის განმავლობაში

სეზონიდან გადარჩენილი საქონელი

გაიყიდება ფრიად

დაკლებულ ფასებში.

სავაჭ. სახ. ძმ.

ა. და ა. მილოვებისა.

გოლოვინის პროსპ. საკადეტო კორპუსის პირდაპირ 1165

ფომინოვბის კვირა

22 აპრილიდან 28 აპრილამდე დანიშნულია

იაფი ვაჭრობა

სეზონიდან გადარჩენილ **საქონლისა**

ფარჩეულობის, შალეულობის, მაუდის, ტილოს და ბამბეულობისა. ბატისტისა და ფუალის ტანისამოსები და ზედატანები შეკერილი და გაწყობილი. აგრეთვე გადარჩენილ საქონლის დიდი ვაჭრობა ხელზე სავაჭრო განყოფილებისა.

ამხან. პაებით

ს. მ. კირაკოზოვი და ზ. გ. უგანოვი

მიხეილის პროს. გერმანელთა კირკის გვერდით ტელეფ. 7—30.

ქალაქ გარეთელ მსყიდველებს გაეგზავნებათ ნიმუშები. 236

ქუთაისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი,

ბანკის წესდების მე-89 პარაგრ. ძალით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებულ ბანკის

რწმუნებულთა მორიგი კრება

დანიშნულია ქ. ქუთაისში, ბანკის შენობაში, 31 მაისს, დილის 11 საათზე.

თანახმად მე-89 პარაგრაფის შენიშვნისა, კრება შესდგება, მიუხედავად დამსწრე რწმუნებულთა რიცხვისა.

რწმუნებულთა კრების განსახილველი საგნები არის:

1. 1912 წლ. ანგარიში ზედამხედველ კომიტეტის, ბანკის გამგეობის და დამფასებელ კომისიის მოხსენებებით.
2. გამგეობის მოხსენება, წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლისა ან დამატების შესახებ.
3. 1912 წლის განმავლობაში ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
4. ზედამხედველ კომიტეტის და ბანკის გამგეობის შეერთებულ სამმართველოს მოხსენებანი:
   - ა. ბანკზე დარჩენილ მამულების თაობაზე.
   - ბ. ბანკის შენობისათვის თოფურიასეულ სახლის გადაკეთების შესახებ.
   - გ. ბანკის მოსამსახურეთა დაჯილდოვებაზე, თუ ვინიცობაა პენსიის დამსახურებამდე გავლენ სამსახურიდან.
   - დ. მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის დიდი მთავარ მიხეილ ნიკოლოოზის ძის სტიპენდიის დანიშვნის წესრიგზე და
   - ე. ბანკის შტატების დაარსებაზე.
5. 1913 წლისთვის ბანკის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიში.
6. თანამდებობის პირთა არჩევა, ნაცვლად გასულ პირებისა: გამგეობის თავმჯდომარის თავ. მ. გ. ფალავასი, წევრისა—თავ. დ. ა. მიქელაძისა, ზედამხედველ კომიტეტის წევრთა: თავ. ს. დ. წერეთლის და ვ. ი. ჭილაძისა და გამგეობის წევრთა ერთი კანდიდატისა (თავისუფალი ადგილი). 1167

არტისტიულ საზოგადოების დარბაზი

კვირას, 21 აპრილს, პროფესორი **მ. ი. ტუგან-ბარანოვსკი**

წაიკითხავს მხოლოდ ერთ **ლექციას** შემდეგ თემაზე:

,,თანამედროვე საზოგადოებრივი იდეალი''.

დაწვრილებითი ცნობები—პროგრამებში. **დასაწყ. სალ. 8-ნახ. ს.** ადგილების ფასი 50 კაპ. 3 მანეთამდე, მოწაფეთათვის 40 კ. ბილეთები ყოველ დღე იყიდება დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს., საკონცერტო დარბაზის შესავალთან შვეიცართან.

1156 ადმინისტრატორი **თევდორე დოლიძე.**

ქართული თეატრი

შაბათს, 27 აპრილს, 1913 წ. გაიმართება

ქართული კონცერტი

ტფილისის ფილარმონიული ქართული საზოგადოებისა.

I განყ. სიუიტა „ივერია" მ. მ. იპოლიტოვ ივანოვისა, შეასრულებს „ახალი კლუბის" გაძლიერებული ორკესტრი.

II განყ. მე-3 მოქმედება ქართული ოპერიდან „აბესალომ და ეთერი" ზ. პ. ფალიაშვილისა. ლიბრეტტო პ. მირიანაშვილისა.

III განყ. ა) ქართული ხალხური სიმღერები და solo ქალ-ვაჟთა ხოროსათვის და ორკესტრისათვის.
ბ) ნაწყვეტები ოპერიდან „აბესალომ და ეთერი".

მონაწილეობას იღებენ: ქბ. კონდრატოვისა, პრესინსკისა, კოვალენსკისა. ბ. ბ. გოფმანი, დუგლი და აგასოვი. **ქართული ფილარმონიული საზოგადოების** გაძლიერებული ხორო და **ახალი კლუბის ორკესტრი**—ზ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით.

ფასები საბენეფისოა.

ბილეთების დაკვეთა შეიძლება კასაში. 1154.

Заявленъ М-ву Торг. и Пром.

Общество
Кахетинскихъ садовладѣльцевъ
„Кахетія"
въ Тифлисѣ
№

Уставъ общества утвержденъ въ 1895 г.

რადგანაც ამ უკანასკნელ დროს მეტად გახშირდა ჩვენი ფირმის ეტიკეტის ყალბი მიბაძულებანი,

,,კახეთი''-ს საზოგადოება

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ასეთ საქმის ჩამდენთ სასტიკად გამოეკიდება სასამართლოს წესით. 1054

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ბებუთოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 580.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

შინაგანი სნეულებანი	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღლაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფიდლერი ე. ბ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11—12 ს.
ქირურგიული სნეულებანი	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	**ექიმი-ქალი ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **თაკაიშვილი ა. ვ.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ხულუკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულებ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—$1^1/_2$ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1. **ფიდლერი ე. ბ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. და ელექ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** (ოთხშაბ., პარასკ. და კვირას) 11—12 ს. **ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$ **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$.
კან. და ვენ. სნ.	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606 '' 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა ძიძათა შემოწმება და სხვ. მოიადგილე[ ]ანი სადასტურით. ™. 1035

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ. ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

,,ნაკადული''-ზე.

(წელიწადი მეცხრე).

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის	მოზრდილთათვის
24 წიგნი.	12 წიგნი.

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **საჩუქრად ამერიკელ მწერალ ქალის პარიეტ ბიჩარ სტოუს რომანს ზანგთა განთავისუფლების დროიდან ,,ბიძია თომას ქოხი''**, სრულ თარგმანს. წიგნში იქნება ₈0-ზე მეტი სურათი და ჩართული ექნება ავტორის სურათი და ბიოგრაფია. თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკისრა **ილია ნაკაშიძემ.** ჟურნალი ,,ნაკადული'' მცირე წლოვან და მოზრდილ. 1910 წ. ნება დართულია კავკასიის ოლქის სამოსწავლო მზრუნველისაგან ქართულ სკოლებში სახმარებლად. **ხელის მოწერა** შეიძლება **ტფილისში**—,,ნაკადულის'' რედაქციაში, ზუბალაშვილის სახ., გოლოვინის პრ. 8, და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

1140 რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი **თ-დ პავლე თუმანიშვილი.**

ქარხნის მარკა
კონიაკი და ლიკორი
ს. ს. შამრიარსკისა
ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი
წამლობა ჭლექისა. იღებს შინაგან სნე. ჭლექთა და გულით ავადმყ. წამლობა ტუბერკულინითა, რადის პრეპარატებით და პნევმოტორაქსით. იღებს ყოვ.-დღ. ახალ ბინაზე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—8 საათ. ადრესი: სოლოლაკი. გრიბოედოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე).
ტელეფ. № 7—93. 97
დილის 9—10 ს. ღარიბების მიღება უფასოა.

არსდება
ტფილის. ქართველ მუშათა მომღერალ - მგალობ. გუნდი
მიხ. კავსაძის ხელმძღვანელობით
მიღება და ჩაწერვა სულ მუდამ: კვირაობით, ოთხშაბათ. და შაბათობით, ჩერქეზიშვილის ანუ ავჭალის ქ., № 29, საღ. 5—7 საათამდე. 1129

ბუფეტი „სატივო“
ყოველ ჟამს ცოცხალი თევზი.
◆ აზიური საჭმელები
ახალის სანოვაგისა ◆
ვიკვეთამთ სადილებს, ვახშმებსა და პიკნიკებს, რომლისათვისაც გვაქვს დიდი აივანი 100 სულზე მეტისთვის. ფასები ძლიერ ზომიერია. 1114

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

ვაგზლის პარკი სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გამბაშიძე ყოველ დღე. შინაგან. ავადმყ. 9$^{1}/_{2}$ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ, 11—11$^{1}/_{2}$ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირ. გარდა: ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11$^{1}/_{2}$.
ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11$^{1}/_{2}$ საათ.
ვორობიევი. შინაგ. ბავშვ. სნეულ. სამშ ოთხშ. შაბ. და კვირ. 2—3 საათამდე.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
ივ. გომართელი.—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური. ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და [illegible] ფასი [illegible] 50 კაპ.
ოპერაციები და [illegible],
წამლობა „606“-ით. 1053

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
ახპისოვი. ყურის, ცხვირის და ყელის ავადმ., ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არლუთინსკი, ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11$^{1}/_{2}$ ს.
ახვლედიანი ბავშვ. შინაგანი ავადმ., ყოველ დღე 3—4 ს.
ბოგუსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., 4—5 ს.
ვესელოვზოროვი. სადოსტაქრო ყოველ დღე 3—4 საათ.
ვორონოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. ყოველ დღე 2—3 ს.
გ. ნ. გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ბალდოევი. კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ 1—2 ს.
ექ. ქალ. იოსელიანი. ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ლიმონი. კბილ. ექიმ. ყ.-დღე 11—1 ს.
ა. პ. მხითარიანცი. ვენერიულ, კანისა და სამარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ქალური და საბებიო ავადმ. ყოვ.-დღე 1—2 ს.
ტ. ი. რუდენკო. შინაგან სნეულ. კონსულტატ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
თეთრაძე. სიფ., ვენერიულ. და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
ა. ა ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.
ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა; 11$^{1}/_{2}$—12$^{1}/_{2}$ საათ.
შამაშა, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1$^{1}/_{2}$—2$^{1}/_{2}$ ს. კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების და მოსამსახურეთა გაშინჯვა. „Wasserman“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა 1070.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. ბედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღებ. რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლოანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი ე. ი. მინასიანცი
შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლ. ულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ჭლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 191

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5$^{1}/_{2}$ ს. ელისაბედ. ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ქუთაისში ვ. თ. ტყეშელაშვილი.
ათ აპრილიდან ღებულობს ავადმყოფებს ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან შესახვევში. 1130

სამტრედიაში
ექიმი ე. ქ. აბულაძე
იღებს ავადმყოფ. ყოველ დღე, აგრეთვე სწამლობს „606“ და „914“. 1118

პასუხია?

უცნაური პასუხი გვიძღვნა „ჰორიზონმა“. არ ვიცით, გაუგებრობის ნაყოფია იგი, თუ განზრახ სიტყვის ბანზე აგდების სურვილითაა გამოწვეული. ვფიქრობთ-კი, რომ უფრო მეორეს უნდა ჰქონდეს ადგილი და აი რატომ: „ჰორიზონის“ წერილი ასე იწყება: „ქართველ თავად-აზნაურობის ინტერესების დამცველი და მაქებელი „სახალხო გაზეთი“. რა-კი ასეთი სახელი გვიწოდა, ცხადია—როგორ ჩამოყალიბდება მთელი პასუხიც. რაღა საჭიროა სერიოზული კამათი იმათთან, ვინც „ყალბი ნილაბის ქვეშ ჰფარავენ კერძო პირებისა და ჯგუფების ინტერესებს, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ხალხის მისწრაფებასთან“?! ამაზე ადვილი რა არის—ამოეფარო შენ მიერ შეთხზულ-მოგონილ „ეტიკეტკას“, რომელსაც ესა თუ ის განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს ფართო საზოგადოების თვალში და ამ ყაიდაზე ჩამოსხა მაგარ სიტყვებიანი პასუხი! თავად-აზნაურობა, ბურჟუაზია, ნაციონალისტ-შოვინისტები—ეს ისეთი მადლიანი საფრთხობელა სიტყვებია, რომ, საკმარისია ვისმეს მიაკერო შუბლზე და მერე თავისუფლად შეგიძლიან გვერდი აუხვიო ყოველ სერიოზულ კამათს და შენის გზით იარო. მაგრამ, ასეთ ხერხის ხმარებისთვისაც საჭიროა სიფრთხილე, თორემ ხშირად ხდება ხოლმე, რომ ყველა ჰხედავს, საფრთხობელა უადგილო-ალაგას არის წამოსკუპებული და არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს... მართლაც, რა შუაშია აქ თავად-აზნაურობა და მისი ინტერესები? ჩვენ ვლაპარაკობდით ავტონომიისა და ქართველ-სომეხთა ავტონომისტების დამოკიდებულებაზე... რა აქვს საერთო ამ საკითხს თავად-აზნაურულ ინტერესებთან? ეს ერთი. მეორე: ვიწვევთ „ჰორიზონს“ გვიჩვენოს და გაგვიმარტოს—როდის, სად და როგორ ვიცავთ ჩვენ თავად-აზნაურობას, მის ინტერესებს. საბუთებია საჭირო და არა სიტყვები, თორემ ჩვენი კამათი ყოველ ინტერესს დაჰკარგავს და გადაიქცევა ბავშურ კინკლაობად. „ჰორიზონელები“ ჩვენს დასელებს ჰბაძავენ, ხოლო ჩვენც თუ იმათ წავბაძეთ, შეგვიძლიან მათი გაზეთი და ჯგუფი მოვნათლოთ ჩარჩებისა და ბაცაცების ინტერესების დამცველებად და გვერდი ავუაროთ. რას ემსგავსება ეს?..

მეორე ნიშანი იმისა, რომ „ჰორიზონი“ განზრახ აგდებს სიტყვას ბანზე არის მისი საოცარი საქციელი — პოლიტეხნიკუმზე ულაგო-ალაგას ლაპარაკის ჩამოგდება. ჩვენ წერილში ერთი სიტყვითაც არ მოგვიხსენებია „ჰორიზონის“ პოზიცია ამ საკითხში, ფიქრშიაც არ მოგვსვლია „ჰორიზონის“ პოლემიკა ჩვენთან პოლიტეხნიკუმის ადგილის მოძებნის საქმეებისა გამო. სრულიად არ გვესმის, რად ჩასჩხირა გაზეთმა ეს საკითხი თავის პასუხში ისეთ საგანზე, რომელსაც არაფერი არა აქვს საერთო პოლიტეხნიკუმთან..

ერთად ერთი ფრაზა, რომელიც არსებითად შეეხება ჩვენს საკითხს, არის „ჰორიზონის“ განცხადება—„ჰორიზონი“ წინააღმდეგი არ არის საქართველოს „ავტონომიისა“. ამ განცხადებასაც თავისი მნიშვნელობა აქვს, მართალია, მაგრამ, უბედურება ისაა, რომ ფრაზა ფრაზად რჩება და როგორღაც იხრჩობა იმ უაზრო სიტყვების მორევში, რომელიც გაზეთმა დააგუბა თავის ჭრელს პასუხში. ქართული ანდაზაა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, და სწორედ აქ არის ძაღლის თავიც დამარხული. რად გვინდა უბრალო ფრაზა, თუ ამ ფრაზის წამომსროლელნი მთელის თავისი მოქმედებით სრულიად წინააღმდეგს გვიმტკიცებენ ყოველს ფეხის გადადგმაზე? ჩვენს წერილში ერთი დიდი საბუთი იყო ამის შესახებ მოყვანილი და სწორედ ამის პასუხს მოველოდით, მაგრამ ამაზე კრინტსაც არა სძრავს გაზეთი. როგორ მოხდა, რომ სომეხი ავტონომისტები არჩევნებზე ქართველ დასელებს შეუთანხმდნენ? მერე, როგორ შეუთანხმდნენ? პირდაპირ აჩუქეს მათ თავისი ხმები და არავითარი კომპენსაცია არ მოსთხოვეს. ჩვენ კარგად ვიცით, რა ფრთხილი და სერიოზული ჯგუფია ჰორიზონელები და მათგან ასე უანგარიშოთ ხმების გაცემა უბრალო რამ არ არის: იმათ კარგად იცოდნენ, რისთვის, აძლევდნენ ხმებს დასელებს, იცოდნენ, რომ მათი შეერთება, ესოდენ არა ბუნებრივი, მხოლოდ ავტონომიის უარყოფის პლატფორმაზე უნდა მომხდარიყო... „ჰორიზონი“-ს სიტყვა, „ჩვენ ავტონომიის წინააღმდეგი არა ვართ, ჩვენ თავად აზნაურობის მადას ვებრძვითო“, სრულებით გაუგებარია და ვერა ჰხსნის დაშნაკცაკანების ტაქტიკას არჩევნებზე. ავტონომიის პლატფორმა არჩევნებზე წამოაყენა ქართველთა ერის განსაზღვრულმა ჯგუფმა, რომელსაც საერთო არა აქვს-რა თავად-აზნაურობასთან, როგორც წოდებასთან. ხოლო თუ თავადებისა და აზნაურების ნაწილიც ემხრობა იმ ჯგუფს ავტონომიის საკითხში, ეს იმას კი არ ჰნიშნავს, რომ „ხალხის მიწრაფება“, რომელზედაც ირონიით გვითითებს „ჰორიზონი“, წინააღმდეგი იყოს ამ ეროვნულ იდეალისა, არამედ იმას, რომ საგანი მთელის ერის „მადით“ გადაქცეულია. სწორედ ამიტომ ვაფრთხილებდით ჰორიზონელებს და ვიწვევდით სერიოზულ კამათისთვის. გავახსენებთ „ჰორიზონს“, რომ სწორედ იმ „სანეტარო დროს“ ქართველი თავად-აზნაურობა ოფიციალურად და როგორც წოდება გამოვიდა ავტონომიის მომხრეთ, მაგრამ ამ გარემოებას მაშინ არ შეუშინებია დაშნაკცაკანები და არ აუძულებია ისინი დასელებთან საერთო მოქმედებისთვის. როგორ და მოხდა, რომ ეხლა, როცა „პოლიტიკური ატმოსფერა ესოდენ შეიცვალა“ და როცა ჩვენი თავად-აზნაურობა შორს არის ამგვარ პლატფორმების გამოცხადებისაგან, დაშნაკცაკანები „თავად-აზნაურობის მადას“ იხვევენ ხელზე საბუთად ქართველ ავტონომისტებთან ბრძოლისათვის?!

ყველა ეს გაუგებარი და ბუნდოვანია და ვფიქრობთ, რომ ჩვენ მართალნი ვართ, როცა ვამბობთ, რომ ახლანდელი დაშნაკციუტუნი ფაქტიურადაც და პრინციპიალურადაც წინააღმდეგია ჩვენი ეროვნული მთავარ მისწრაფებისა. ხოლო ეს დიდათ სამწუხარო მოვლენაა, რადგან ჩვენ ყოველთვის იმ აზრისანი ვიყავით, რომ სწორედ ეს პოლიტიკური პარტია შესძლებს სათანადოთ გაიგოს ჩვენი გულისთქმა და ჩვენთან საერთო მუშაობით მკვიდრი საფუძველი აუგოს ორ მეზობელ ერთა სოლიდარულ და მშვიდობიან განწყობილების საქმეს.

სახელმწიფო სათათბირო

ამ დღეებში სახელმწიფო სათათბირო ისევ დაიწყებს მუშაობას, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, შეიკრიფება სამუშაოდ. მეოთხე სათათბიროს შეკრების დღიდანვე რაღაცა დასწყევლია მაჯლაჯუნასავით და გასაქანს არ აძლევს. იყო დრო, როდესაც სერიოზულად ლაპარაკობდნენ სათათბიროში დამკვიდრებულ მოწყენილობაზე ეს მოწყენილობა რამოდენამდე განფანტა კადეტების მიერ შეტანილმა წინადადებებმა თავისუფლებათა შესახებ, მაგრამ არსებითად ვერც ამან უშველა სათათბიროს და გარკვეულ მუშაობის გზაზე ვერ გამოიყვანა. ამის შემდეგ ისე ცოტა დრო დარჩა, რომ სათათბირო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას ძლივს მოასწრობს, ხარჯთ-აღრიცხვაც უეჭველად სიჩქარით იქნება განხილული. ამ რიგად, მეოთხე სათათბიროს პირველმა წელიწადმა ისე უნდა გაიაროს, რომ არამც თუ თვალსაჩინო არაფერი გააკეთოს, თავისი საკუთარი ფიზიონომიაც კი ვერ გამოარკვიოს და განსაზღვრულ კანონ-მდებლობას ვერ დაადგეს.

ყველა ამას ზედ ერთვის განსაკუთრებული ტაქტიკა მთავრობის წარმომადგენლებისა. მთელი წლის განმავლობაში მთავრობას არცერთი ისეთი კანონ-პროექტი არ შეუტანია სათათბიროში, რომელსაც შეეძლო ცოტაოდენად გამოეცოცხლებინა მუშაობა. სასარგებლო და 17 ოქტომბრის მანიფესტთან შეფარდებულ კანონ-პროექტებზე ლაპარაკი ხომ სრულიად მეტია.

სად უნდა მოვსძებნოთ ამის მიზეზი? როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, მესამე სათათბიროს ხელმძღვანელი პარტია ოქტომბრისტების პარტია იყო. მთავრობა ამ პარტიაზე ემყარებოდა და მისი დახმარებით თავის პოლიტიკას აწარმოებდა. ოქტომბრისტებმა დაიწყეს ის მანიფესტი, რომლის სახელსაც ამაყად ატარებდნენ და განხორციელება დაპირებულ რეფორმებისა შორეული დროისთვის გადასდეს. ამისთანა პირობებში მთავრობასაც ხელები გახსნილი ჰქონდა. მას თავისუფლად შეეძლო მოქმედება, რადგანაც სათათბიროში ერთგული უმრავლესობა ეგულებოდა. სტოლიპინმა თავისი პროგრამა ოქტომბრისტებისა და მემარჯვენეების დახმარებით განახორციელა.

მაგრამ ამომრჩევლებმა ასეთი ორჭოფული პოლიტიკა ოქტომბრისტებისა დაიწუნეს, რაც მათი ლიდერის დამარცხებაში გამოიხატა. იმათ, ვინც წინად ოქტომბრისტებსა ჰგზავნიდნენ, მეოთხე სათათბიროში კადეტები გაგზავნეს. ცენტრი დასუსტდა. სათათბიროში ვერ შესდგა მტკიცე, მთავრობის მომხრე, უმრავლესობა. გაძლიერდა მარჯვენა ფრთა და ოპოზიცია. ასეთს პირობებში კი მთავრობას ვერას გზით ვერ შეუძლიან იმედიანად იყოს, თავისუფლად იმოქმედოს.

ამიტომ იგი დუმილს ამჯობინებს. სათათბიროს ინიციატივით აღძრული საკითხები უშედეგოდ იმარხება, თვითონ მთავრობას კი არავითარი კანონ-პროექტი არ შეაქვს სათათბიროში.

შესაძლებელია ასეთმა მდგომარეობამ ცოტახნობით იხსნას მთავრობა უხერხულ მდგომარეობიდან. მაგრამ დაუსრულებელი ტრიალი მოჯადოებულ წრეში და შეჩერება ინტენსიურ საკანონმდებლო მუშაობისა საბოლოოდ ისეთს არა ნორმალურ პირობებს შექმნის, რომ აუტანელი გახდება როგორც მთავრობისთვის, ისე სათათბიროსთვის.

უსაქმურობა მაშინ, როდესაც აურაცხელი საქმეა გასაკეთებელი და რუსეთი დღითი-დღე ელის მომწიფებულ რეფორმათა განხორციელებას, სასურველ მდგომარეობად არ უნდა ჩაითვალოს, იმისთვის, ვისაც გათვალისწინებული აქვს მომავალი და ამ მომავალს შეგნებულად უცქერის.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიასთან სამუდამო შეერთების საკითხით პრესა დაინტერესდა. „ზაკ. რეჩ“-ში დაბეჭდილია წერილი ბ-ნი სხიმნიკისა, რომელიც ითვალისწინებს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს განზრახულ ზომას, თუ მსოფლიო პატრიარქთა კრებამ აღიარა ეს შეერთება და ამით თავს იდო დიდი მოვალეობა ქართული ეკლესიის წინაშე.

„საბოლოოდ შეერთება ქართული ეკლესიისა რუსულ ეკლესიასთან იურიდიულად, ჩვენის აზრით, გამოიხატება შემდეგში,—სწერს „ზაკ. რეჩ“-ი,—გაუქმდება ქართული ეგზარხატი და ყოფილი ქართული ეპარქიები პირდაპირ უწმ. სინოდს დაექვემდებარება, გაუქმდება დანაწილება, სამღვდელოებაც ქართულად და რუსულად, ქართული ეკლესიის ქონება როგორც უძრავი, ისე მოძრავი გადავა რუსეთის მართლმადიდებელთ ეკლესიის ხელში და სხვა.

„ზაკ. რეჩ“-ს ეს უსამართლობად მიაჩნია და მოუწოდებს საზოგადოებას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს აღძრულ საკითხს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** წარსულ სეზონის ანგარიშიდან, სხვათა შორის, სჩანს: ბალანსი უდრიდა 6,771 მან. 11 კ., შემოსავალი იყო 48,830 მან. 10 კ. ხარჯი—47,268 მან. 56 კ., კასაში ნაღდად დარჩენილა 961 მან. 54 კ., საანგარიშო წელს გამგეობას 17 კრება ჰქონია სათეატრო საკითხების გასახილველად. ამავ წელს დაუარსებია დრამატიული კურსები, რომელზედაც დღემდე 3,000 მან. დახარჯულა. კურსების შესახებ დღევანდელ საზოგადო კრებას საგანგებო მოხსენებას წარუდგენს სარევიზიო კომისია, რომლის აზრითაც კურსები სრულიად არ ამართლებს თავის პირვანდელ დანიშნულებას.

◆ **სეირნობა**, რომელიც 19 აპრილს სახალხო გასართობთა საზოგადოებას უნდა გაემართა მუშტაიდში, წვიმის გამო, გადაიდო ორშაბათ 22 აპრილისთვის.

◆ **ექსკურსია.** 15 აპრილს ტფილისიდან გაემგზავრნენ ტფ. ქართულ გიმნაზიის მეოთხე და მეხუთე კლასის მოსწავლენი მასწავლებლების ქ-ნ ჯიჯავაძისა და შ. ქარუმიძის ხელმძღვანელობით. მოსწავლეებმა დაათვალიერეს მოწამეთის მთა, გელათი, ბათომი, ქუთაისი და ტფილისს დაბრუნდნენ.

◆ **ლეონიდ ანდრეევის პიესა „ეკატერინა ივანოვნა“** ივ. პოლუმორდვინოვმა ქართულად სთარგმნა.

◆ **უწმ. სინოდის განკარგულება.** მიცვალებულთა მოხსენების დღეს წელს შეხვდა ხელმწიფე იმპერატრიცის ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელწოდების დღეს, 23 აპრილს, ამის გამო სინოდმა დაადგინა მიცვალებულთა მოხსენება აღსრულდეს 23 აპრილის მაგივრად 22 აპრილს.

◆ დღეს არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში პროფესორი ტუგან-ბარანოვსკი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „თანამედროვე საზოგადოებრივი იდეალი“.

◆ რედაქციამ მიიღო მორიგი (IV) ნომერი **„განათლებისა“** შემდეგის შინაარსით: 1) პროფ. გურლიტი. VIII შეჯახებანი—ლ. ბოცვაძე. 2) ბუნება და სამკურნალო მეცნიერება, ჰიგიენა—ილ. ალხაზიშვილი. 3) ნიკოლოზ ბარათაშვილი — ილ. ფერაძე. 4) მათემატიკა, როგორც ჭეშმარიტება—ე. ალშიბაია. 5) სქესობრივი საკითხი, წერილი დასთან III —ივ. გომართელი. 6) † არჩილ ჯორჯაძის ხსენებას—ლ. ბოცვაძე. 7) ნორჩ საფლავზე—გ. ლეონიძე. 8) არჩილ ჯორჯაძე (ბიოგრაფია). 9) ჩაჰქრა სხივი—ს. ტაიფუნი. 10) არჩილ ჯორჯაძის ხსენებას—ს. აბულაძე. 11) მიიცვალა—ვ. გორგაძე. 12) არჩილ ჯორჯაძეს—ლადო გეგეჭკორი. 13) უკანასკნელი სალამი—სამ. ფირცხალავა. 14) ყარიბობაში—დ. თურდოსპირელი. 15) ნაუ... ნაუ... ნაუ. —დ. თურდოსპირელი. 16) გამარჯვების გვირგვინი—ლადო გეგეჭკორი. 17) იგი ხომ ოცნებაა!.. (სააღდგომო) გ. ლეონიძე. 18) მდინარის პირად—აკ. სვანი. 19) ფიქრი გაზაფხულზე—ნ. ბ—ძე. 20) ფიქრი მდინარის—გელა 21) დღეს ვიცინი (ოცნების ცელქობა)—ვაჟა-ფშაველა. 22) ქუჩაში—(კნუტ ჰამსუნი)—ა. მითაიშვილი. 23) შინაური მიმოხილვა—ბ-ნი სპილიოტი და ქართული სკოლა; ბ-ნი ს. კაკაბაძე და „ვეფხის ტყაოსანი“; ჩვენი ხუცები და ქართული სახელები—პეტრე მირიანაშვილი. 24) ფიზიკური შრომის მნიშვნელობა აღზრდის საქმეში—გრ. საქარიქედელი. 25) ოჯახური აღზრდა გირასიმე. 26) სქესობრივი მომწიფება. 27) სამეცნიერო მიმოხილვა—სხვა და სხვა ცხოველების ცხოვრებიდან—კ. მაჭავარიანი. 28) წერილი რედაქციის მიმართ—ნოე დევიძე. 29) ბიბლიოგრაფია, Очеркъ исторiи Арменiи Халатьяна—ა. სვანიძე. 30) მცირე შენიშვნა. დამატება. ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის საზოგად. მოქმედებისა: 1913 წლ. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა (დასასრული). მოხსენება სენაკის ყალამშის და გიორგი წმინდის სკოლების რევიზიის შესახებ. განცხადება. ოქმი ფოთის განყოფ. საზოგადო კრებისა.

◆ რედაქციამ მიიღო მორიგი (5 და 6) ნომერი ჟურნალ „მოსავლისა“ შემდეგი შინაარსით: გ. გულბაათიშვილი—რა ეშველება გამოფიტულ მიწას. ფ. ზაიცევი—მავნე მწერების და მათგან დაავადებულ მცენარის შეკრეფა. ს. ედილაშვილი—კულტურული დუღი, დედა, ანუ დროჟები და მისი მნიშვნელობა მეღვინეობაში. ი. ახალი ია—საყურადღებო ცნობები. ვ. რცხილაძე—საგულისხმო მოხსენება (თარგმანი).

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართ. დრამატიულ საზოგადოების წევრების კრება.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 21 აპრილს, დილის 12 საათზე დანიშნულია წლიური საზოგადო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. განსახილველი საგნები: 1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენებანი, 3) საზოგადოების გამგეობის მოხსენებანი. 4) საზოგადოების ახალ წევრების არჩევანი და 5) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევანი. კრება მოხდება „ახალ კლუბის“ დიდ დარბაზში. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად საზოგადოების დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

ჟურნალისტის დღიური

131.

ქართული დრამატიული საზოგადოება.

დღეს ქართული დრამატიული საზოგადოების საზოგადო კრებაა. წევრთა სიას რომ გადაავლოთ თვალი, მაშინვე დაინახავთ, რანაირ გულგრილობას იჩენს ქართველი საზოგადოება ამ კულტურულ დაწესებულებისადმი. ნამდვილად კი მას არამც თუ დიდი ადგილი უჭირავს კულტურულ დაწესებულებათა შორის, დიდ-ძალი საზოგადოებრივი ფული და ენერგიაც იხარჯება. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იქნება ჩვენი სურვილი, თუ მოვითხოვეთ მეტი ყურადღება საზოგადოებისადმი.

თეატრი საზოგადოდ და განსაკუთრებით კი დღევანდელ პირობებში ჩაყენებული თეატრი, მიუხედავად თავისი დიდი კულტურული ღირებულებისა, ერთი იმისთანა დაწესებულებათაგანია, რომელსაც ყველაზე ნაკლებად უნდა სჭირდებოდეს გარეშე დახმარება და საზოგადოებრივი სუბსიდია. დახმარება უნდა იყოს აუცილებელი დამატება და არა სული და გული დაწესებულების არსებობისა. ქართულმა თეატრმა თავის საკუთარ, შინაგან, განახლებაში უნდა ჰპოვოს წყარო არსებობისა და მხოლოდ მაშინ მოიხმოს საზოგადოებრივი თვითმოქმედება, როდესაც ესეც ვეღარაფერს უშველის, როდესაც საჭიროებისამებრ დაკმაყოფილებული მოთხოვნილებანი ხარჯებს ვეღარ გაუძლებენ.

ჩვენი თეატრი კი ერთს წერტილზეა გაყინული. სხვის შემაცქერალი, სხვის ბეჭებზე დაყრდნობილი, იგი სათავეშივე ჰკლავს ყოველ-გვარ ინიციატივას და შეუძლებლადა ჰხდის განახლებას, თეატრის აზრიან არსებობის ერთადერთს საფუძველს.

თუ თეატრმა კვლავ ამ გზით განაგრძო სიარული, იგი განახლებას ვერ ეღირსება და ისევე წელმოწყვეტილი გააჩანჩალებს თავის არსებობას, როგორც აქამდის აჩანჩალებდა არ ვიტყვით, რომ თეატრის გამოცოცხლება და გამობრუნება მთლად გამგეობის წევრებზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ პირადი უნარი გამგეობის წევრებისა მაინც დიდს რამესა ნიშნავს. საჭიროა გამგეობის წევრებად ავირჩიოთ ისეთი ხალხი, რომელნიც ახალს სულს შეიტანენ საზოგადოების მოქმედებაში და ერთხელაც არის დასძრავენ ქართულ თეატრს იმ გაუვალ ადგილიდან, რომელშიაც უშედეგოდ შეჩხირულა ქართული თეატრი. **შინაური.**

გვირილობა ტფილისში

ტფილისში, როგორც საერთოდ მთელ რუსეთში, წელს გვირილობის დღესასწაულს მესამედ ჰმართავენ. მოსალოდნელი იყო, რომ წელს დღესასწაული იშვიათის დიდებულობით ჩაივლიდა, მით უფრო, რომ ჭლექთან მებრძოლი კავკასიის საზოგადოება, საზოგადო დაწესებულებათა დახმარებით, წინადვე შეუდგა მხნედ მზადებას ამ იშვიათ დღის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის. სამწუხაროდ, დილით მოლოდინი რამდენადმე არ გამართლდა. ამის მიზეზი იყო შემდეგი: დღესასწაულის წინა დღესვე, 19 აპრილს, როდესაც ქუჩებსა და მოედნებზე კიოსკებისა და მაგიდების მოწყობას შეუდგნენ, გაზაფხულის მშვენიერი ამინდი უცებ შეიცვალა: წამოვიდა წვიმა, რომელმაც შუაღამემდე გასტანა. მეორე დღეს, 20 აპრილს, დილითვე, როდესაც ქუჩებს გვირილის გამყიდველი ქალები მოედვნენ, წვიმა კვლავ წამოვიდა. წვრილი წვიმა შუადღემდე ხან-გამოშვებით მოდიოდა და ეს დიდად აფერხებდა ქუჩებზე ხალხის გამოსვლას და გვირილის ბლომად გაყიდვას. ამ ხელის შემშლელ პირობათა მიუხედავად, ქალები დილა-ადრიანადვე გამოვიდნენ ქუჩებში ყულაბებითა და კალათებით და გვირილის გაყიდვას შეუდგნენ. კიოსკებშიაც დილიდანვე დაიწყეს ყვავილების გაყიდვა და სხვა და სხვა წიგნაკების უფასოდ დარიგება. გამოჩნდენ მორთული ეტლებიც და ქალაქს მოედვნენ. დილით ხალხი ქუჩებში ნაკლებ სჩანდა, მაგრამ შუადღისას ცოტა მოემატა, თუმცა იმდენი მაინც არ იყო, რამდენიც შარშან. წვიმაც შეჩერდა და ქალაქმა სადღესასწაულო ელფერი მიიღო.

ერევნის მოედანზე გამართული იყო სამი კიოსკი. კიოსკები მოეწყოთ აგრეთვე საარტისტო საზოგადოებასთან, სახაზინო თეატრთან, ერის დამართის თავში, მიხეილისა და კიროჩნის ქუჩის ჯვარედინზე, ვორონცოვის ხიდთან, თათრის მოედანზე და ავლაბარში. ამას გარდა მიხეილის ქუჩასა და გოლოვინის პროსპექტზე რამდენიმე დიდი მაღაზია საგანგებოდ მორთული იყო უზარმაზარ ხელოვნურ ყვავილებით. ქალაქის ზოგიერთ ადგილას ამ დღეს ჭლექის შესახებ ლექციები წაიკითხეს სხვა და სხვა ენაზე. ლექციები იყო წინა დღითაც, 19 აპრილს.

საერთო სურათი დღესასწაულისა შუადღემდე მკრთალი იყო. იმედი აქვთ უფრო საღამოსი, როდესაც ხალხი, მუშაობისაგან განთავისუფლებული, გაჩირაღდნებულ ქუჩებში გამოვა და დღესასწაულის სასურველად ჩავლას შეძლების და გვარად ხელს შეუწყობს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ჩვენი საზოგადოება
და
გასართობი ბავშვთათვის

ამ წერილში იმის გამოკვლევას არ გამოვუდგები, თუ როგორ ესაჭიროებათ ბავშვებს გასართობები და როგორი მნიშვნელობა აქვს სხვა და სხვა გასართობ თამაშობას ბავშვების აღზრდის საქმეში. თუ ვისმეს ჰყოლია ბავშვი და მის აღზრდაში მონაწილეობა მიუღია, ეს მას კარგად ეცოდინება. მხოლოდ მშობლებს და აღმზრდელებს შეუძლიათ გაიგონ ბავშვის რთული ფსიხოლოგია და შესაფერი გასართობები მიაწოდონ; მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველები, როგორც ყველაფერს, ამ საქმესაც ყურადღებით არ ვეკიდებით. რუსეთში თუ უცხოეთში ყოველ ქალაქში ბავშვთათვის ქალაქის თვითმართველობა ზრუნავს; ყოველ ქალაქში მოიპოვება ისეთი საზოგადოებები, შენობები და სხვა, სადაც ზამთარ-ზაფხულ შესაფერი გასართობებია მოწყობილი. მაგალითად ავიღოთ პეტერბურგი, რომელიც განთქმულია თავისი ცუდი ჰავით სინესტით და ბუნების უვარგისობით. არ მოიპოვება ამ ქალაქში ისეთი ბაღი, სადაც ზამთრობით ბავშვთათვის გორაკები, ან ხელოვნურად გაყინვული სწორი ადგილები არ იყოს გაკეთებული. ამ გორაკებს მუდამ დღე თავს დასტრიალებს სამი ოთხი დარაჯი, სწმენდს, ასუფთავებს, ასწორებს, წყალს ასხამს, რომ ღამის ყინვამ იგი გაამაგროს და მეორე დღეს ბავშვებმა შესძლონ ყინულზე სრიალი. 5 წლის ბავშვებიდან დაწყებული ყველა იღებს მონაწილეობას, ყველას ლოყები გაჭარხლებული აქვს, ყველა მხიარულებს. მაგრამ გაზაფხულდება თუ არა, ბავშვებს საზაფხულოდ უწყობენ ბაღებში ადგილებს. თუ პეტერბურგის მომტირალ ბუნებაში შეიძლება ყველა ამის მოწყობა, განა ჩვენს კეკლუც ბუნებაში არ შეიძლება? მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენ არასდროს არ ვაქცევთ ყურადღებას ბავშვების გასართობებს, და უკანასკნელნი იძულებულნი ჰხდებიან ან ჩილიკა-ჯოხით გაერთონ ან ქიდაობით, ან ლახტით. პაწაწკინა გოგონები კი ამ გასართობსაც მოკლებულნი არიან, რადგან ვაჟებთან ლახტის თამაში სისუსტის გამო მათ არ შეუძლიანთ. ავიღოთ თეატრი და გადავხედოთ, რა გვაქვს ჩვენ ამ მხრით გაკეთებული ბავშვთათვის. სრულიად არაფერიო, ჩვენი საყმაწვილო ჟურნალები, რომელნიც ორი სამი მადლ-მოსილი ადამინის მეოხებით სულდგმულობენ, მუდამ იმის წუხილში არიან, სად იშოვონ როგორმე მასალა. ხანდისხან ქართულ თეატრში იმართება ხოლმე საბავშვო დილები, მაგრამ ისინიც დამაკმაყოფილებელი არ არის. ამ დროს კი აქვე რუსულ თეატრებში შორეულიდან მოსული დასები ისეთი მეგობრული და გულითადის გრძნობით ეკიდებიან საბავშვო დილების მოწყობას, რომ კაცს გული გაუნათლდება, როდესაც თეატრში მყოფ ბავშვების გულწრფელ სიხარულს და ხაარხარს ჰხედავს.

ეხლახან გავიგე, რომ ბ. ილია ნაკაშიძეს კარგა ხანია ახალ კლუბში შეუტანია შესაფერი განცხადება. იგი კისრულობს ასეთი დილების მოწყობას, თუ კი ახალი კლუბის საბჭო იკისრებს ხარჯს. მას აქეთ განვლო ერთმა თვემ და საბჭოს თითიც არ გაუნძრევია ამ საქმის განსახორციელებლად.

ბავშვების გასართობების მოწყობა იმდენად საჭიროა, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ საზოგადოება მეტის ყურადღებით მოეკიდებოდა მას.

კორდელი.

აფორიზმები
არჩილ ჯორჯაძისა
„საეროვნო პრობლემის გარშემო“
(1907—9 წ. ტ. I)

არც ერთი აზრი და მიმართულება ცხოვრების სიღრმეში, ჩასახული და ამ სიღრმიდან გარედ გამოსული და აღმოცენებული, არ იკარგება სამუდამოდ. შესაძლებელია რომელიმე აზრის და მიმართულების შეფერხება, მისთვის ფრთების შეკვეცა, შესაძლებელია სხვა გვარის, ზედაპირულის ინტერესებით გამსჭვალვა, ხოლო შეუძლებელია დამარხვა იმ აზრებისა და მიმართულებისა, რომლის დღეგრძელობასა და ცხოველმყოფელობაზეა დამოკიდებული მთელი ერის სიცოცხლე.

◆

ეროვნება და ეროვნების შესახებ ლაპარაკი!.. წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში ამ საგნის გარშემო ტრიალებდა ქართველ ინტელიგენციის აზრი. ბევრი წერილი დაწერილა, ბევრი სჯა ბაასი გამართულა ამ პრობლემის შესახებ. გადავდგით ფეხი მეოცე საუკუნეში და ისევ აგვეტუზა თვალ-წინ იგივე საგანი, ისევ აგვალაპარაკა, ისევ ჩაგვაფიქრა და გამოურკვეველ მდგომარეობაში საგვაგდო.

◆

დღეს ჩვენს საზოგადოებაში სხვა და სხვა ჯგუფების კლასიფიკაციის საფუძვლად ეროვნული პრობლემა გახდა. იმას არავინ დაეძებს, თუ რა სოფლ-მხედველობის პატრონი ხართ საზოგადოდ, რა თვალით უყურებთ შრომის ორგანიზაციის საქმეს, რა გიყვართ ხელოვნებაში და რას ეძებთ, რას ესწრაფებით სიცოცხლეში—ყოველივე ეს დღეს საინტერესო არ არის. საინტერესოა მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, თუ როგორ გესმისთ ეროვნული პრობლემა, ავტონომისტი ხართ, თუ ავტონომიის მოწინააღმდეგე, ამაყურად ატარებთ ქართველ კაცის სახელს, თუ სირცხვილით იწვით იმ უბედურების გამო, რომ განგებამ ქართველად გშობა და ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანად გაგაჩინა.

◆

... თუ წინად ეროვნების შესახებ ლაპარაკი ქართველ პუბლიცისტისთვის ერთგვარი გულის მოსაფხანი საშუალება იყო, ეხლა ამ ლაპარაკს „საქმიანობის“ ელფერი დაეტყო. პუბლიცისტი აღარ ჰგოდებს, აღარ იმსჭვალება სევდით, იგი ეძებს პრაქტიკულ გზას, პრაქტიკულ პირობებს, რომელშიაც მას სწადიან ეროვნული ცხოვრების ჩაყენება.

◆

რაც გინდ შეურყეველი იყოს ეთნიურად რომელიმე ხალხი, რაც გინდ სუფთა და ორიგინალურ ენაზე ლაპარაკობდეს იგი, იმ დრომდე ხალხი ერად არა ხდება, სანამ სახელმწიფო არ იბადება, ე. ი. სანამ საგვარეულო წესი არ დაინგრევა და ნათესაობის ადგილს ტერიტორიალური პრინციპი არ დაიჭერს.

ს. კაკაბაძის დებულებანი შოთა რუსთაველის შესახებ
(23 აპრილის ლექციისა გამო).

ჩვენში მტკიცედ და შეურყევლად მიღებულ აზრის მიხედვით შოთა რუსთაველი მე-XII საუკუნის დასასრულის მგოსანია. ის სცხოვრობს თამარ მეფის დროს, რომლის საქებსადიდებლად სწერს თავის უკვდავ პოემას „ვეფხის ტყაოსანს“. მართლაც თამარ მეფე იხსენიება თვით „ვეფხის ტყაოსანში“ და ამიტომ ამ მხრივ ეჭვი შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ საქართველოს ისტორიამ იცის მხოლოდ ერთად ერთი თამარ მეფე, მაგრამ ამ საკითხის გადასინჯვამ, ბ. კაკაბაძის აზრით, შესაძლებელია, სულ სხვა დასკვნამდის მიგვიყვანოს. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ტექსტი „ვეფხის ტყაოსნისა“, აქამდის ჩვენში მიღებული, დამოკიდებულია ვახტანგ ბატონიშვილის პირველ გამოცემისაგან (ტფილისი 1712 წ.). ხოლო ეს გამოცემა ვახტანგ ბატონიშვილისა შესამჩნევად განსხვავდება მე-XVII საუკუნის ჩვენამდის მოღწეულ ხელნაწერების ტექსტიდან.

„ვეფხის ტყაოსანს“ ბევრი კომენტატორი ჰყავდა, რომელთაც ბევრი ყალბი ხანა ჩაუმატეს თვით ტექსტს პოემისას. ეს ყალბი ადგილები უმთავრესად გამოტოვებული აქვს ვახტანგს თავისს გამოცემაში, მაგრამ ვახტანგმა ამასთანავე გამოუშვა, შესაძლებელია სრულიად შემთხვევითი მიზეზებისა გამო, ბოლო „ვეფხის ტყაოსნისა“, რომელიც ტარიელისა და ავთანდილის სიკვდილით თავდება. „ვეფხის-ტყაოსნის“ კრიტიკულ ტექსტის აღდგენის შემდეგ ბ-ნი კაკაბაძე არჩევს „ვეფხის ტყაოსანში“ მოთავსებულ ცნობებს შოთას შესახებ. სახელდობრ, შოთა ამბობს, რომ გალექსა სპარსულიდან ქართულად გადათარგმნილი ამბავი, რომელიც მანამდის პროზად იყო დაცული. „ვეფხის ტყაოსანი“ დაიწერა თამარ მეფის საქებ-სადიდებლად, დავით მეფის ბრძანებით. გარდა ამისა შოთა გადმოგვცემს, რომ პროზაიკული თარგმანი „ვეფხის-ტყაოსნისა“ ეკუთვნის სარგის თმოგველს და რუსთველს თვისი შრომისათვის ხელი მოუკიდია, როდესაც თმოგველთა გვარი თმოგვიდან აბარგულა. ცნობილია, რომ თმოგველთა გვარი 1307 წელს ჯერ კიდევ თმოგვში ბინადრობდა, ხოლო 1459 წ. კი ეს გვარეულობა დასავლეთ ქართლში სახლობს. მაშასადამე, „ვეფხის-ტყაოსანი“ უნდა იყოს ლექსად დაწერილი არა უადრეს მე-XIV საუკ. დასაწყისისა და არა უგვიანეს მე-XV საუკ. ნახევრისა.

ამ აზრს ბ-ნი კაკაბაძე ამტკიცებს აგრეთვე სხვა და სხვა რეალიებით „ვეფხის-ტყაოსნიდან“, რომელნიც უჩვენებენ პოემის წარმოშობას არა უადრეს მე-XIV საუკუნისა. ამასვე უნდა გვიჩვენებდეს, ბ-ნ კაკაბაძის აზრით, სუფიზმის გავლენა „ვეფხის-ტყაოსანზე“, ხოლო სუფიზმი მძლავრობდა სპარსულ პოეზიაში სწორედ მე-XIII და მე-XIV საუკუნეში.

ახლა აქ ჩნდება საკითხი, თუ კი შოთა რუსთაველი დაახლოვებით 1307—1450 წლებში სწერდა თავისს პოემას, რით აიხსნება ის გარემოება, რომ „ვეფხის-ტყაოსანში“ იხსენიება თამარ მეფე. ბ-ნ კაკაბაძის აზრით მე-XIV და მე-XV საუკ. საქართველოს მეფეთა გენეოლოგია სრულიად ყალბ ნიადაგზეა აშენებული. 1319 წლიდან ჩვენ არა გვაქვს მატიანები და ამიტომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრების შესახებ მე-XIV და მე-XV საუკუნეში არავითარი ცნობები არ მოიპოვებოდა, ვიდრე მე-XVIII საუკ. დასაწყისში ჯერ ვახტანგ ბატონიშვილის კომისიამ და მერე მისმა შვილმა ცნობილმა ისტორიკოსმა ვახუშტიმ არ განიზრახეს ამ ნაკლის შევსება. ვახუშტის მიერ შემუშავებული სქემა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებისა მე-XIV და მე-XV საუკუნის შესახებ აქამდის მიღებულია ჩვენში, მაგრამ ახლა შესაძლებელია არსებულ მასალების მიხედვით მისი შესწორება. ბ-ნ კაკაბაძის აზრით საქართველოს პოლიტიკური სურათი მე-XIV და მე-XV საუკ. სულ სხვანაირად გვეხატება. საქართველო მე-XIV საუკ. გაყოფილა ორ სამეფოდ, საქართველოსა და აფხაზეთისად. (აფხაზეთის სამეფოს სატახტო ქალაქი ქუთაისია). თემურლენგის შემოსევის წინ აფხაზეთის მეფემ ბაგრატ დაიპყრა აღმოსავლეთი საქართველო, გიორგი ბრწყინვალის შთამომავლობა სომხითში გააგდო, ქუთაისში კი გაამეფა თავისი ძმა ალექსანდრე. ალექსანდრეს შემდეგ მეფობდა კონსტანტინე, ხოლო კონსტანტინეს შემდეგ 1402 წელს აფხაზეთს მეფედ დაჯდა მცირეწლოვანი თამარი. ამავე დროს სომხითს განაგებდა (1404 წლიდან) დავით მეფე. აი ეს თამარ მეფე და დავით მეფე უნდა იხსენიებოდნენ, ბ-ნ კაკაბაძის აზრით, „ვეფხის-ტყაოსანში“. თამარ მეფე, ბ. კაკაბაძის გამოანგარიშებით, 1412 წ. ახლოს გათხოვდა საქართველოს მეფის შვილზე ბაგრატზე. რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ დავით მეფეს რუსთაველისთვის შეეკვეთოს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა თამარის საქებსადიდებლად მისი გათხოვების შემდეგ, ამიტომ შოთას თავისი პოემა უნდა დაეწერა 1404—1412 წლებში.

სკუტარის საკითხი

სკუტარის ციხის აღებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სრულებითაც ვერ შესცვალა ის გაურკვეველი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც იმ თავიდანვე დაჰბადა ამ საბედისწერო ქალაქის საკითხმა. ჩერნოგორია კვლავინდებურად თავგამოდებით ჩემულობს მის პატრონობას, ხოლო ევროპის დიდ სახელმწიფოთა, ეგრედ წოდებული, „კონცერტი“ ელჩთა ლონდონის კონფერენციის პირით გადაჭრით აცხადებს, რომ მისი დადგენილება ამ ქალაქის ბედის შესახებ, მიუხედავად ჩერნოგორელების საქციელისა, უცვლელად რჩება. ეს დადგენილება კი ისეთია, რომ სკუტარი და მისი მიდამოები ალბანეთის მომავალ ავტონომიურ სახელმწიფოს ფარგალში უნდა შევიდეს. ამ ორი პრინციპის დაპირისპირებამ დღემდე ის ნაყოფი გამოიღო, რომ ევროპის „მტკიცე ერთობა“ ცალიერ სიტყვად დარჩა, რადგან ამ ერთობის განსახორციელებლად მოგონილი საერთაშორისო ფლოტის დემონსტრაცია სასაცილო თამაშობით გადაიქცა, არა თუ ჩერნოგორიისა, არამედ თვით ევროპის საზოგადოების თვალშიაც. იმ დროს, როდესაც შორს-მსროლელი არტილერიით შეიარაღებული, ევროპის ჯავშნოსნები მშვიდობიანად დასრიალებდნენ ჩერნოგორიის სანაპიროების მახლობლად, ნიკოლოზ მეფის ჯარი მხნედ განაგრძობდა თავის საქმეს სკუტარის წინააღმდეგ და ყურსაც არ იბერტყდა ფლოტის უფროსის მუქარაზე. ავსტრია, რომელიც იმ თავითვე სასტიკი დამცველი იყო ევროპის „საერთო სურვილისა“, მუდამ იმის ცდაში იყო, რომ დიდი სახელმწიფოები პალიატივებით არ დაკმაყოფილებულიყვნენ და უკიდურესი ღონისძიება მიეღოთ ურჩი ჩერნოგორიის წინააღმდეგ. მაშინ ასეთმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა და ჩერნოგორიამაც მიაღწია წადილს—სკუტარი დაჰნებდა მტერს. ამ გარემოებამ თავზარი დასცა ავსტრიის სამხედრო პარტიას, რომელიც ომის დაწყებისათანავე ხარბად ეძებდა თვით უმნიშვნელო საბაბს, რომ ბალკანეთის ბრძოლაში ჩარეულიყო და თვალსაჩინო რამ წაეგლიჯა. ოფიციოზური და ნაციონალისტური პრესა დღეს აღარ ლაპარაკობს ევროპის პრესტიჟის დაცვაზე, იგი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ჩერნოგორიის საქციელი პირდაპირი დამცირებაა ავსტრიის ღირსებისა, რომელსაც ეს უკანასკნელი ვერ მოითმენს. ჩერნოგორიამ კარგად იცოდა—სწერენ გაზეთები—რომ საერთაშორისო საზღვაო დემონსტრაცია მის შესაშინებლად კი არა, არამედ ავსტრიის მოქმედების საზვერავად იყო მოგონილი და ამიტომაც მეფე ნიკოლოზმა არაფრად ჩააგდო იგიო. გავლენიანი გაზ. „ნეიე-ფრ.-პრესე“ სწერს: ავსტრია ნებას არავის მისცემს, რომ მის ზურგზე დაიპონ ის შუშა, რომელიც პანსლავიზმის კოცონის დასანთებადაა საჭირო. თუ ევროპა არ მოისურვებს ჩერნოგორელების სკუტარიდან გამოყვანას, თვითონ ავსტრია დამოუკიდებლად გამორეკს მათ.

მდგომარეობა მართლაც მეტად კრიტიკულია. ავსტრიის თავგამოდებამ ლამის სულის ერთი შებერვით დაამხოს ის დიპლომატიური ხუხულა, რომელსაც ომის დაწყებიდანვე აშენებდა ევროპის დიპლომატია და რომელსაც საზონოვმა „დიდ სახელმწიფოთა დაუინტერესებლობა“ უწოდა. ევროპის განთქმულ „კონცერტში“ უნებურად შეიპარა დისჰარმონიული კილო. ავსტრიის მოკავშირენი—გერმანია და იტალია—თუმცა უგულოდ, მაგრამ მაინც მხარს უჭერენ თავის მეზობლებს, რადგან ამას მოითხოვს, როგორც პრესტიჟი, ისე ინტერესი სამთა კავშირისა. სამთა შეთანხმების სახელმწიფოები—ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი—თუმცა არ უარჰყოფენ ელჩთა კონფერენციის აწინდელ გადაწყვეტილებას ალბანეთის საზღვრების შესახებ, მაგრამ წინააღმდეგი არიან რეპრესიულ ღონისძიებათა მიღებისა. თუ უცხოეთის გაზეთებს დავუჯერებთ, რუსეთი არამც თუ კვლავ ვეღარ მიიღებს მონაწილეობას ისეთ დადგენილებაში, რომელსაც მიზნად ექნება იძულება ჩერნოგორიისა, არამედ მისი თხოვნით საფრანგეთიც უარს იტყვის ასეთ კომბინაციაზე. საქმეს ის გარემოებაც ართულებს, რომ თვით ალბანეთში თავი იჩინა ავსტრიის პოლიტიკის საწინააღმდეგო მიდრეკილებამ. როგორც გამოირკვა, სკუტარი იერიშით კი არ აუღიათ ჩერნოგორელებს, არამედ ციხის დამცველის, ესად-ფაშის თანხმობით. ესად-ფაშა ტომით ალბანელია. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობა სრული უაზრობა-და იყო, დესპანები მიუგზავნა ჩერნოგორიის ჯარის მთავარ-სარდალს, ციხის დათმობის თაობაზე მოლაპარაკების გასამართავად. ორი დღის თათბირის შემდეგ, მოწინააღმდეგეებმა შემდეგი პირობა დასდვეს: „ესად-ფაშა გადის ციხიდან ჯარითა, დროშებითა და იარაღით, გარდა საალყო მძიმე არტილერიისა. იგი გამოცხადებულია ალბანეთის ავტონომიის მთავრად ოსმალეთის სულთანის სუვერენიტეტობით. ჩერნოგორიის მეფემ პირველმა უნდა აღიაროს ესად-ფაშა ალბანეთის მთავრად. ნაცვლად ამისა, ესად-ფაშა უთმობს ჩერნოგორიას ქ. სკუტარისა და მის მიდამოებს მდ. დრინის ნაპირებამდე“.

ციხის დათმობისათანავე ესად-ფაშა 12.000 ჯარისკაცით შიდა ალბანეთისკენ წავიდა. ხალხი ყველგან აღტაცებით ეგებებოდა მას. ცხადია, ასეთი მოქმედებით იგი არა თუ ბალკანეთის სახელმწიფოთა გულს მოიგებს, არამედ, შესაძლებელია, ნიადაგსაც კი შექმნას მათთან დასაკავშირებლად, რადგან, ასე თუ ისე, ისტორიულმა მსვლელობამ ალბანეთის მომავალ ავტონომიურ სახელმწიფოს დღევანდელ მტერთა—სერბია-ჩერნოგორიის—მეზობლობა არგუნა. გაივლის დღევანდელი ქარტეხილი, დადგება მშვიდობიანი ცხოვრების ხანაც და აი სწორედ მაშინ იქნება უფრო საჭირო ასეთი კავშირი, ურომლისოდაც ალბანეთის ავტონომია ავსტრიისა და იტალიის ლუკმად გადიქცევა. დუნაის იმპერიის დიპლომატიაც ჰგრძნობს ასეთს შესაძლებლობას და ყოველ ღონეს ხმარობს ხელიდან არ გაუშვას მოხერხებული მომენტი ალბანეთის დაბორკვისა, როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად. ამიტომაა სწორედ, რომ ავსტრია ევროპის გაფრთხილებას ყურს არიდებს და დამოუკიდებლად მოქმედებას იმუქრება. სკუტარი მხოლოდ ერთი თვალია იმ ვრცელი ბადისა, რომელსაც იგი ალბანეთის მოსანადირებლად ჰქსოვს. ძნელია, რასაკვირველია, იმის თქმა, თუ რითი გათავდება ეს მუქარა. ყოველ შემთხვევაში, ევროპის საერთო ომის სუნი კვლავ ტრიალობს ჰაერში და გაუგონარ საშინელებას უქადის კაცობრიობას.

კოლხი.

დეპეშები
(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

19 აპრილი.

ომი და სახელმწიფონი

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს შეუტყვია, რომ თუმცა კონფერენცია განსაზღვრულ გადაწყვეტილებამდე არ მისულა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან შედეგს მიაღწია; მან გამოიჩინა ცხოველმყოფელობა და შემდეგი კრება ორშაბათისთვის დანიშნა. ჩერნოგორიის მშვიდობის მოყვარე კილო საგრძნობლადა სცვლის შექმნილ მდგომარეობას. იგი ზოგიერთ ელჩზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. იმედი აქვთ, ორშაბათს შეიმუშავონ ისეთი ფორმულა, რომელიც დიპლომატიურის გზით შესძლებს გამოიყვანოს გაჭირვებულ მდგომარეობიდან. იგი შესძლებს ყველა სახელმწიფოს დაკმაყოფილებას სკუტარის საკითხში და აგრეთვე ჩერნოგორიის სურვილთა დასაკმაყოფილებლად გამონძებნის შესაფერ ღონის ძიებას. ელჩთა კონფერენციამ განიხილა აგრეთვე ზავის საკითხიც, ამბობენ, დიდი სახელმწიფონი შეიმუშავებენ ზავის პირობის ძირითად დებულებებს და მეომართ წარუდგენენ; სამშვიდობო კონფერენცია ლონდონში მხოლოდ დაწვრილებით შეიმუშავებს ზავის პირობას.

სოფია. რადგანაც მოკავშირე სახელმწიფოებმა მიიღეს დიდ სახელმწიფოთა მიერ შემუშავებული საზავო პირობის მთავარი დებულებანი, დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელნი აშურებენ სახელმწიფოებს რაც შეიძლება მალე შესწყვიტონ საომარი მოქმედება, დანიშნონ კონფერენციის ადგილი და დელეგატები. გეშოვმა განაცხადა, ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის საომარი მოქმედება უკვე შეწყვეტილიაო; დელეგატებად ისევ ძველი დელეგატები იქნებიან, ადგილი კვლავ ლონდონი იქნებაო.

ვენა. „კორესპონდენც-ბიურო“ იტყობინება: გუშინდელ გაზეთების ცნობა, მეფის ბჭობაზე მცდარი ყოფილა. პირიქით, დღეს მოხდება ავსტრიის მინისტრთა ბჭობა. დილით ბუდაპეშტიდან მოვიდა ლუკაჩი.

ვენა. „ნეიეს-ვინერ-თაგებლატ“-ს მოჰყავს ბაასი ერთ სახელმწიფო მოღვაწისა, რომელმაც დღევანდელ თათბირში უნდა მიიღოს მონაწილეობა. მისი სიტყვით მდგომარეობა ფრიად გაჭირვებულია; ავსტრია-ჰუნგრეთის პოლემიკა ნათელი და გულწრფელია; ავსტრია-ჰუნგრეთი საიდუმლოდ არა ჰმოქმედებდა, ეხლა იგი იძულებულია განახორციელოს თავისი სურვილები. საქმის გადაწყვეტა—იმპერატორის ხელშია. მინისტრთა დღევანდელ თათბირზე განხილული უნდა იყოს ფინანსიური და სამხედრო საკითხების წვრილმანი, რაც მონარქიის სურვილის განხორციელებასთან არის დაკავშირებული; მოღვაწის აზრით, სამხედრო ზომების მიღებას მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი ექნება. დიდად შესაძლებელიაო, სთქვა მოსაუბრემ, რომ იტალია ავსტრია-ჰუნგრეთთან ერთად იმოქმედებსო. დღეს დილით მომხდარ მინისტრთა თათბირზე, ბერტჰოლდმა ვრცელი მოხსენება წაიკითხა პოლიტიკურ მდგომარეობაზე; შემდეგ მინისტრთა შორის აზრთა გაზიარება მოხდა; გამოირკვა ყველა მინისტრის ერთსულოვნება საგარეო პოლიტიკის საკითხში.

ვენა. „ნეიე-ფრეიე-პრესე“ აღნიშნავს, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდაო. საღამოს გაზეთების ცნობით, ვენაში ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული, როგორ ეპყრობიან ელჩთა კონფერენციის დადგენილებას, თუმცა აღნიშნავენ, რომ ლონდონის კონფერენციის წინადადებას არ შეუძლიან გარემოების შეცვლაო. „ნეიე-ფრეიე-პრესე“ ხაზს უსვავს ავსტრია-ჰუნგრეთის შეურყეველ გადაწყვეტილებას, რა ზომები მიიღონ, რომ სკუტარის საკითხი არ გაჭიანურონო; ავსტრია-ჰუნგრეთის აზრით, შეუძლებელია კომპენსაციაზე მსჯელობა, ვიდრე სკუტარი განწმენდილი არ იქნებაო. „რეიხს-პოსტი“ ჩერნოგორიის პასუხს სთვლის ავსტრია-ჰუნგრეთის ახალ თავხედურ დაცინვად. გაზეთის აზრით, ავსტრია-ჰუნგრეთი მზად არის დაჰკმაყოფილდეს თათბირსა და მსჯელობებს; თუ საქმე აქამდე მივა, მთელი ქვეყნიერება დაინახავს ამაში ავსტრია-ჰუნგრეთის საგარეო პოლიტიკის სიმფრთხალეს.

ვენა. ბერტჰოლდის თავმჯდომარეობით დილის 11 საათზე მინისტრთა თათბირი დაიწყო.

ვენა. ბირჟის კომისარმა დილით შემდეგი გვაცნობა: პოლიტიკური მდგომარეობა უცვლელია; ავსტრია-ჰუნგრეთი ისევ იმ აზრზე სდგას, რომ დიდ სახელმწიფოთა გადაწყვეტილება, რაც შეიძლება მალე უნდა განხორციელდესო.

ბუდაპეშტი. „პესტერ-ლოიდი“ სწერს: ჩვენი გამოლაშქრება, რათა განხორციელდეს ევროპის დადგენილება, ძლივს გადასწყდა. იგი შეიძლება შეიცვალოს სხვა სახელმწიფოთა გამოსვლით, ან ჩერნოგორიის უეჭველი დამორჩილებით.

ბუდაპეშტი. „პესტი-გირლასი“, ომის წინააღმდეგია, ჰუნგრეთელს საკვებ პურს არ მისცემს, სამაგიეროდ ბევრ ჰუნგრელისთვის კი შეიქმნება სამარედ. „პესტი-ნაპლო“ ამბობს; ჩვენ მოვალეობას შევასრულებთ, მხოლოდ ნუ მოგვთხოვენ ომით აღფრთოვანებას, რასაც ჩვენ განუსაზღვრელის უაზრობით გვახვევენ თავს.

ლიტერატორთა საზოგადოება

ბერლინი. ბერლინში დაარსდა რუს ლიტერატორთა საზოგადოება. საზოგადოების მიზანია—პროფესიონალურ ინტერესების დაცვა და წევრთათვის ნივთიერ დახმარების აღმოჩენა.

დემონსტრაცია მადრიდში

მადრიდი. რესპუბლიკანელებმა მოახდინეს დემონსტრაცია, მარსელიეზის სიმღერით. პოლიციას რევოლვერებს ესროდნენ. ერთი პოლიციელი დაიჭრა.

ჩინეთის რესპუბლიკის აღიარება

პეკინი. ამერიკის რწმუნებულმა იუანშიკაის გადასცა ვილსონის ცნობა, ჩინეთის რესპუბლიკის აღიარებაზე.

ეროვნული

ჩინეთი და მონღოლეთი

გაიმაჩენი. ჩინეთის ზოგიერთმა მიწის მომქმედმა უარი სთქვა მონღოლთათვის სახნავ მიწის იჯარის მიცემაზე; ჩინელები იარაღით ემუქრებიან მონღოლებს.

მინისტრად ნამყოფის გარდაცვალება.

ვენა. გარდაიცვალა იუსტიციის მინისტრად ნამყოფი უნგერი.

მეამბოხეთა გაფანტვა.

რაბატი. პოლკოვნიკმა მანჟენმა ღამე, 15 აპრილს, სიდიალიბუბახინში გაჰფანტა მრავალი მეამბოხენი, რომელთაც ფრანგებს მოუკლეს 18 კაცი, 41 დაუჭრეს. მოპირდაპირეთა დანაკლისი საგრძნობია.

პირველ მაისის დღესასწაული.

რიუსტრინგენი (ოლდენბურგი). პირველ მაისის გამო მოხდა მანიფესტაცია. მონაწილეობდა 2.000 კაცი. ბრბო ცდილობდა პრუსიის საზღვრის გადასვლას. პოლიციამ იარაღს მიმართა. რამდენიმე არის დაჭრილი.

კალიფორნიის კანონ-პროექტი.

ტოკიო. კალიფორნიის კანონპროექტის წინააღმდეგ მოხდა საპროტესტო მიტინგი. მიტინგს რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. მიტინგმა დაადგინა: კალიფორნიის კანონ-პროექტი არღვევს ამერიკისა და იაპონიის შეთანხმებას. თუ კანონ-პროექტი დამტკიცდა, იაპონელნი ამას ვერ შეურიგდებიანო. ხალხი ფრიად არის აღელვებული ამერიკელების წინააღმდეგ.

მუშათა გაფიცვა

ლონდონი. რადგანაც სამუშაოდ მიიწვიეს ორგანიზაციის გარეშე მყოფი მუშები, სამხრეთ უელსში 20.000 მთის მუშა გაიფიცა.

რუსეთი.

უხვი შეწირულება.

სიმბირსკი. ვაჭარმა ნიკოლოზ შატროვმა 20.000 მან. შესწირა ჭლექთან საბრძოლველად.

პეტერბურგი. მიწის მომწყობ მთავარმა სამართველომ მინისტრთა საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი, დაარსდეს მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სხვა და სხვა განყოფილებებით.

პეტერბურგი. საშინაო საქმეთა მინისტრმა ნება დართო 15 დეკემ. 22 დეკემ. ეკატერინოსლავში მოიწვიონ სრულიად რუსეთის ხურო-მოძღვართა კრება.

პეტერბურგი. „სოვრ. სლოვოს“ და „რეჩ“-ის რედაქტორი სამას-სამასი მანეთით დააჯარიმეს.

მინსკი. მინსკის მაზრაში, ზაბალოტიეში გლეხებმა მემამულე სვარჩევსკისთან უთანხმოების ნიადაგზე, დაუშინეს მის ბინას ქვები. სვარჩევსკიმ და მის შვილმა ფანჯრებიდან სროლა აუტეხეს. მოჰკლეს ერთი გლეხი და ერთი დასჭრეს.

თეატრი და ხელოვნება

სადღესასწაულო რეპერტუარი.

მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, ქართულ თეატრში ქართველ მსახიობთა ამხანაგობა დასდგამს ერთს საღამოს ორს სახელგანთქმულ ტრაგედიას ძველი საბერძნეთის გამოჩენილ ტრაგიკოსის სოფოკლესას: 1 **„ედიპე მეფე“**, II **„ანტიგონე“**.

ქართული თეატრი. 19 აპრილს გაიმართა საინტერესო წარმოდგენა და საღამო. პირველად ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ბანკოს ერთ-მოქმედებიანი პიესა „რომელი ერთი“? პიესა საინტერესო გამოდგა. ახალგაზრდა ქალს ომიდან მოსდის ქმარი. ეს ამბავი ქალისთვის სრულიად მოულოდნელი იყო. რადგან ქმარი მოკლული ეგონა, მან სხვა შეიყვარა და შვილიც ეყოლა იმისაგან. დაბრუნებული ქმარი საშინელის შურის-ძიებით არის გამსჭვალული. იგი უცხადებს ცოლს: ან შენი საყვარელი უნდა მოვკლა ან შვილი—აირჩიე ერთ-ერთიო თან მოკლე ვადას უნიშნავს: ვიდრე ქმარი თორმეტს დასთვლის, ცოლმა უნდა გადასწყვიტოს, რომელი გასწიროს—შვილი თუ სატრფო. ახალგაზრდა ქალი საშინელ სასოწარკვეთილებაშია, მაგრამ ამ დროს პიესა ორიგინალურად თავდება: უცბად ელექტრონი ჩაჰქრება და სცენაზე ერთი აურ-ზაური ასტყდება. ავტორს ამით უნდოდა ეთქვა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელიაო.

მოთამაშეთაგან ყურადღება მიიქციეს ქ-ნმა თ. გოგოლაშვილმა, ახალგაზრდა ქალის როლის ამსრულებელმა, ბ-ნთ ილ. ზურაბაშვილმა და ალ. შანშიაშვილმა.

შემდეგ გაიმართა სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილება ქ-ნ ამირეჯიბის, კოლოტოვას, ბ-ნთ ყანჩელის და მიკულის მონაწილეობით. ყველანი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

დასრულდა საღამო ევროპიულისა და ადგილობრივის ცეკვით.

საღამო გაიმართა ქართველ ქალთა ამხანაგობას ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ.

წერილ. რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გაახლებთ ამასთანავე სოფელს საგარეჯოში დავით ყანდარელის ოჯახში შეგროვილს თერთმეტს მანეთს და გთხოვთ ეს ფული გადასცეთ განსვენებული არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ასაგებ თანხას. გთხოვთ შემომწირველთა სიაც გამოაცხადოთ: დავ. და არჩილ ყანდარლები, ლ. ზედგინიძე, საზ. გულისაშვილი, სოლ. გულისაშვილი, ივ. რჩეულიშვილი, იოს. მეზვრიშვილი, მღ. დიმ. ბურთიკაშვილი, არჩ. ავალიშვილი, დავ. პარკაძე, ლევ. სამადაშვილი.

არ. ავალიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

ყივანა-ხველებიან ბავშვებს
ასვით
სიროლინ „როშ“-ი,
იგი სულ მოკლე ხანში დაუყენებს
მტანჯველ ყივილსა და ხველას.

იშოვება
ყველა აფთიაქსა
და სააფთიაქო
მაღაზიაში.



უსათუოდ
მოითხოვეთ
სიროლინ „როშ“-ი
ქარხნის თავისებურ
გასახვევით.

მეტცლ. 66871. 1638

კბილის
ექიმი ა. გ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ზ. გ. [illegible]: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მუღდინა: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. აგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. ან. საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. გ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.
საღამოთი:
მ. გ. აგეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

პარიზის სულმთლად ✦ ახალი ფასონები
კორსეტებისა
ვენის საკორსეტო ელექტრონის სახელოსნოში
მ. ა. [illegible] ვიტი
ტფილისი, პეტრე დიდი და სოლოლაკის კუთხე. 1168.

გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:
„SALO—პიჩილინ“.
სწრაფად და ირსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებით და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.
აგრეთვე კარგად მოქმედებს მეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფოსტოდებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება სააფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.
Метцль 23238. 1038

სამკურნალო გოგირდის აბანო „ფანტაზია“,
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე ახლად შეკეთებული მოწყობილობა ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29°/0 და 35°/0, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიათ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.
1674 კნ. სუმბათოვებისა.

ცინკოგრაფია წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა
კისრულობს ყოველგვარ კლიშეების დამზადებას
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. ✱ Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12
1090.

ВИНОГРАДНАЯ ВОДКА
ОПТОВ. СКЛАДА
ЗАВОДСК. МАРКА
ВИНА и СПИРТА
ТОРГ. ДОМА
БР. СЕСІЕВЫ и Ко
ВЪ
ТИФЛИСѢ.
ФИРМА УДОСТОЕНА ЗОЛОТОЙ МЕДАЛЬЮ НА ПАРИЖСКОЙ ВЫСТАВКѢ

1078

ფოტოგრაფიულ აპარატებისა და სხვა სახელსაწყო ნივთების საწყობი
თ. მ. სოტირიადისა.
ტფილისი, კიროჩნი ქ. № 10.
ახალი ფოტოგრაფიული პლასტინკები, გამარჯვება (побѣда), იმპერიალი და ქაღალდი გევერტისა და სლონისა.
დიდი არჩევა ფოტოგრაფიულ
ბლანკებისა.
ფასი ხელმისაწვდომია. 1139



მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეთოვ.) ხიზილალა
თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტელეფონი № 712.
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში.
მოხარშული ღორი, ზურგიელი,
და ყოველგვარი
1131

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, სახ. ჯაბაშვილისა.

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

დოქტორი მედიცინისა
გ. ა. ახვერდოვი,
პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულისა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. ხემიონოვის ქ., № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—ხემიონ. ქ., № 16. 1159

შემთხვევით იყიდება
ღვინის სარდაფი
ხელმისაწვდომ ფასში. სარდაფი გამართულია. პატენტიც აღებულია. ოლგას ქუჩა, სახლი მაჩაბლისა, ნომერი 52. გიორგი სესიევი. 229

მსოფლიოდ ცნობილი
კრემი
კაზიმი
მეტამორფოზისა.
ერთად-ერთია მთელი ქვეყნის ქალების მიერ მოწონებული.
ძირიანად სპობს მზის ნამწვს, ძიძიბებს, ლაქას, ჭორფლს, ნაოჭებსა ჯ პირისახის სხვა ნაკლულევანებას.
მ. 15756 1101



დამტკ. ვაჭრობა-მრეწვ. დეპარტამენტის მიერ, № 4683.

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ე. ა. ცატუროვის
სასახლის ქუჩა, ტელეფ. № 238.
დეპო
სასახლის ქუჩა, ტელეფ. № 238.
რადგანაც ახლო მომავალში სალამფო განყოფილების შეკეთება მოხდება და საქონელიც დიდძალი შეგროვდა, 22 აპრილიდან—4 მაისამდე დანიშნულია
დიდი იაფი ვაჭრობა
ნავთის ლამფებისა, ელექტრონის არმატურისა | ჭაღები, მაგიდის ლამფები, ბრა, საქანაო და სხვ. | და ბრინჯაოს და ბროლის მშვენივრად ნაკეთი ნივთები.
ფასები დაკლებულია 20—40%-ით.
1166

ფომინობის კვირის
განმავლობაში
პ. ს. დოროუნოვის
მაღაზიებში:
1) მთავარში—სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლში.
2) იაროსლავისაში—მიხეილის ქუჩა, ლიუტერანთა ეკლესიის გვერდით.
ფომინის კვირის
განმავლობაში
22, 23, 24, 25, 26 და 27 აპრილს
მხოლოდ ექვს დღეში ჩვეულებისამებრ
დიდი იაფი ვაჭრობა
გასულ სეზონებისაგან გადარჩენილ მთელ საქონლისა.
ფასის სიმცირე გასაოცარია.
მაღაზიების ფანჯრებში გამოფენილი იქნება საქონლის არტიკულები დაკლებულ ფასების აღნიშვნით 1169
ყველაფერი იაფად იყიდება
ფასების სიმცირე გასაოცარია

ტფილისი, მუხრნის ქუჩა, სტამბა „შრომა“.